საგზაო ნიშნები

ეს ნიშანი ნიშნავს:

გააჩერე ბოლომდე, შემდეგ გააგრძელე გზა უსაფრთხოდ.

ეს ნიშანი ნიშნავს:

წინ სკოლის გადასასვლელია.

ეს ნიშანი გაფრთხილებს, რომ უახლოვდები:

სარკინიგზო გადასასვლელს.

ეს ნიშანი ნიშნავს:

მარჯვენა შესახვევი მთავრდება წინ, დარჩი მარცხენა ზოლში.

ეს ნიშანი ნიშნავს:

მარჯვენა მხრიდან უერთდება მოძრაობას.

ეს ნიშანი ნიშნავს:

შეინარჩუნე მარჯვენა მხარეს მოძრაობა.

ეს ნიშანი ნიშნავს:

წინ შუქნიშანია.

ეს ნიშანი ნიშნავს:

ცურავს როცა სველია.

ეს ნიშანი გამოიყენება, რათა თავიდან აგარიდოს:

არასწორი შესასველი ცალმხრივ ქუჩებზე და ჩქაროსნულ მაგისტრალებზე.

ეს ნიშანი ნიშნავს:

მარცხნივ შეხვევა აკრძალულია.

ეს ნიშანი ნიშნავს:

საავადმყოფო მარჯვენა მხარეს.

ეს ნიშანი ნიშნავს:

წინ ორმხრივი მოძრაობაა.

ეს ნიშანი ნიშნავს:

შეანელე სიჩქარე და მოემზადე გასაჩერებლად, თუ ეს საჭიროა.

ეს ნიშანი ნიშნავს:

მოხვევა აკრძალულია.

ეს ნიშანი ნიშნავს:

დაყოფილი მაგისტრალი მთავრდება.

ეს ნიშანი ნიშნავს:

წინ შემაღლებული ადგილია.

თავი 4: მოძრაობის რეგულაციები

1. **წითელი და თეთრი სამკუთხედის ფორმის ნიშანი გადაკვეთაზე ნიშნავს:**

შეანელე სიჩქარე და მოემზადე გასაჩერებლად, თუ ეს საჭიროა.

2. **მართხკუთხედი ფორმის ნიშანი არის:**

სიჩქარის ზღვარის განმსაზღვრელი.

3. **რომბის ფორმის ნიშანი არის:**

საგზაო საფრთხის ნიშანი.

4. **რა ფერით აღინიშნება გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს მოსალოდნელ საფრთხეებს, როგორიცაა მრუდე გზები და ვიწრო ხიდები:**

შავი ასოები ან სიმბოლოები ყვითელ ფონზე.

5. **რა ფერისაა საგზაო ნიშნები, რომლებიც გაცნობენ მანძილს შემდეგ გასასვლელამდე მაგისტრალზე მოძრაობის დროს:**

მწვანე ნიშნები თეთრი ასოებით.

6.

რას ნიშნავს ეს საგზაო ნიშანი:

გააჩერე ბოლომდე, შემდეგ გააგრძელე გზა უსაფრთხოდ.

7. **შემდეგი ჩამონათვალიდან, რომელს უნდა დაემორჩილო უფრო მეტად:**

პოლიციელს

8. **როდესაც უახლოვდები გზაჯვარედინს და შუქნიშანზე მწვანე შუქი გადადის ყვითელში, რომელია საუკეთესო ქმედება?**

მოემზადე გასაჩერებლად, ვიდრე მიუახლოვდები გზაჯვარედინს.

9. **რა შემთხვევაში შეგიძლია გადაკვეთო ორმაგი უწყვეტი ყვითელი ზოლი:**

როდესაც უხვევ შენობასთან მისასვლელ გზაზე.

10. **რა შემთხვევაში შეგიძლია გადაკვეთო უწყვეტი თეთრი ზოლი მაგისტრალზე მოძრაობის დროს?**

თუ მოძრაობის პირობები ითხოვს ასე.

11. **თუ შუქნიშანზე ანთია მწვანე ისარი და წითელი შუქი, ეს ნიშნავს, რომ:**

შენ მხოლოდ შეგიძლია იმოძრაო მწვანე ისრის მიმართულებით.

12. **რას ნიშნავს ციმციმა ყვითელი შუქი შუქნიშანზე?**

განაგრძე გზა ფრთხილად.

13. **თუ გზაჯვარედინს აქვს გაჩერების ნიშანი, საცალფეხო გადასასვლელი, მაგრამ არ არის გაჩერების ზოლი. აუცილებლად უნდა გააჩერო:**

საცალფეხო გადასასვლელამდე.

14. **თუ უახლოვდები გზაჯვარედინს, რომელსაც აქვს ციმციმა წითელი შუქი. კარგი იქნება, თუ:**

გააჩერებ ბოლომდე, შემდეგ გააგრძელე გზა უსაფრთხოდ.

15. **რომელი ნიშანი გამოიყენება ზოგიერთ გზატკეცილზე იმ მძღოლებისთვის, რომლებიც დგანან შეხვევისთვის ხელსაყრელ ზოლში?**

შუა ზოლში დაყენებული თეთრი ისრები.

16. **რა შემთხვევაში არ შეგიძლია წყვეტილი თეთრი (ან ყვითელი) ზოლის გადაკვეთა?**

თუ ეს ქმედება ხელს შეუშლის მოძრაობას.

17. **თუ გზა დანიშნულია უწყვეტი ყვითელი ზოლით და წყვეტილი ყვითელი ზოლით შენს მხარეზე, რა შემთხვევაში შეგიძლია გადასვლა?**

თუ მოძრაობა გაწმენდილია.

18. **უწყვეტი თეთრი ზოლი გზატკეცილის მარჯვენა კუთხეში დამრეცი ხდება შენგან მარცხენა მხარეს. ეს გიჩვენებს, რომ:**

გზა ვიწროვდება.

თავი 5: გზაჯვარედინები და შესახვევები

1. **გზაჯვარედინზე ელოდები, რომ შეუხვიო მარცხნივ. რა უნდა გააკეთო ასეთ დროს?**

დაასიგნალე და გაასწორე საბურავები პირდაპირ

2. **მძღოლს მარცხენა მხარი და ხელი აქვს ქვემოთ დაშვებული. ხელის ასეთი ნიშანი მიუთითებს, რომ მძღოლი აპირებს:**

გაჩერებას

3. **მძღოლს მარცხენა მხარი და ხელი ზემოთ აქვს აწეული. ხელის ასეთი ნიშანი მიუთითებს, რომ მძღოლი აპირებს:**

მარჯვნივ შეხვევას

4. **რა შემთხვევაში გაქვს სხვა მანქანის ტერიტორიაზე გავლის უფლება?**

როდესაც უკვე იმყოფები მოძრაობის წრეში

5. **როდესაც გინდა მარჯვნივ შეხვევა, შენი ავტომობილი აუცილებლად უნდა იყოს:**

ქუჩის მარჯვენა მხარესთან ახლოს

6. **გზაჯვარედინზე აპირებ მარცხნივ შეხვევას, შუქნიშანზე მწვანე ანთია, მაგრამ საპირისპიროდ მომავალი მოძრაობა არ ჩერდება. რა უნდა გააკეთო ასეთ დროს?**

დაელოდე გზაჯვარედინის ცენტრში, სანამ მოძრაობა არ გაიწმინდება.

7. **როდესაც ორი ავტომობილი ერთდროულად შედის გზაჯვარედინზე სხვადასხვა გზატკეცილიდან, რომელ ავტომობილს აქვს უპირატესობა?**

მარცხენა ავტომობილს

8. **რა შემთხვევაში უნდა დაუთმო გზა ახლოს მოსულ ავტომობილს?**

თუ ის უხვევს მარცხნივ

9. რა უნდა გააკეთო, როდესაც უახლოვდები გზაჯვარედინს, რომელიც დატვირთულია მოძრაობით?

შეჩერდი იქამდე, სანამ არ შეძლებ გადასწრებას.

10. ატარებ მანქანას ქუჩის გასწვრივ და გესმის სირენის ხმა. მაშინვე არ შეგიძლია სასწრაფო დახმარების მანქანის დანახვა. რა უნდა გააკეთო?

შეაჩერე მანქანა, რათა დაინახო, სასწრაფო დახმარების მანქანა არის თუ არა შენს გზაზე.

11. გინდა, რომ შეუხვიო მარჯვნივ შემდეგ გზატკეცილზე. როდის უნდა ჩართო შეხვევის მანიშნებელი?

შეხვევამდე 100 ფუტით ადრე.

12. ორმხრივი ქუჩიდან გინდა შეუხვიო მარცხნივ ცალმხრივ ქუჩაზე. როდესაც დაასრულებ შეხვევას, შენი ავტომობილი უნდა იყოს:

ქუჩის მარცხენა ზოლში.

13. რა უნდა გააკეთო, როდესაც კერძო გზიდან გსურს მთავარ გზაზე გასვლა?

დაუთმე გზა ფეხით მოსიარულეებს და მთავარ გზაზე მოძრავ ტრანსპორტს.

თავი 6: გადასწრება

1. **რას ნიშნავს, როდესაც სკოლის ავტობუსი გაჩერებულია და წითელი ფარები ციმციმებს?**

არ შეგიძლია ავტობუსს გადაასწრო, მანამ სანამ წითელი ფარები ანათებს

2. **მარჯვენა მხრიდან შეგიძლია გადაასწრო სხვა ავტოტრანსპორტს, თუ ის ელოდება, რომ:**

შეუხვიოს მარცხნივ

3. **როგორ უნდა მოიქცე, თუ შენს უკან მყოფი მანქანა ემზადება, რომ გადაგასწროს?**

შეანელე უმნიშვნელოდეთ და დარჩი შენს ხაზში

4. **როგორ უნდა მოიქცე, როდესაც გინდა, რომ დაეწიო და გადაასწრო სხვა ავტოტრანსპორტს?**

დაასიგნალე და გადაასწარი, როდესაც უსაფრთხო მომენტს შეარჩევ.

5. **ჩვეულებრივ შემთხვევაში, შენი მიმართულებით მიმავალ ავტოტრანსპორტს შეგიძლია გადაასწრო, თუ შენ მიდიხარ:**

მარცხენა მხარეს

6. **რა შემთხვევაშია გადასწრება ყოველთვის აკრძალული?**

თუ შენს წინ მდგომი ავტომობილი გაჩერებულია ქვეითთა გადასასვლელთან და ელოდება, როდის გადავა ფეხით მოსიარულე

7. **როდესაც უკვე გადაასწარი სხვა ავტომობილს, როდის შეგიძლია დაუბრუნდე მარჯვენა ზოლს?**

როდესაც სარკეში დაინახავ სხვა ავტომობილის ამორტიზატორებს (ბამპერებს)

8. **როდესაც მიდიხარ შუა ზოლში სამხაზიან გზატკეცილზე და სხვა ავტომობილი ცდილობს გადაგასწროს მარჯვენა მხრიდან. იმ მძღოლის საქციელი არის:**

ნორმალური, თუ გზაზე არაა ნიშანი, რომელიც კრძალავს მარჯვნიდან გადასწრებას

თავი 7: პარალელური პარკირება

1. **“No Standing” ნიშანი გარკვეულ ადგილებში ნიშნავს, რომ:**

შეგიძლია გააჩერო დროებით მგზავრების ასაყვანად ან ჩამოსასმელად.

2. **“No Parking” ნიშანი გარკვეულ ადგილებში ნიშნავს, რომ:**

შეგიძლია გააჩერო დროებით მგზავრების ასაყვანად ან ჩამოსასმელად.

3. **“No Stopping” ნიშანზე, იმის გარდა თუ პოლიციელმა არ მიგითითა, შეგიძლია გაჩერება მხოლოდ:**

რათა აირიდო თავიდან შეჯახება.

4. **არასდროს შეგიძლია მანქანის გაჩერება:**

გზაჯვარედინზე

5. **როცა ქუჩა სწორია, როგორ უნდა მოიქცე, როცა გააჩერე მანქანა ორ მანქანას შორის:**

გაასწორე წინა საბურავები და დატოვე ადგილი მანქანებს შორის.

6. **როდესაც გააჩერე მანქანა, რა შემთხვევაში შეგიძლია მანქანიდან გადმოსვლა მოძრაობის მხარეს:**

თუ არ შეუშლი მანქანებს ხელს მოძრაობაში

7. **სანამ დატოვებ ავტოსადგომს:**

მოატრიალე თავი და შეხედე მოძრაობას

8. **მძღოლს შეუძლია მანქანის გაჩერება სპეციალურად გამოყოფილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, იმ შემთხვევაში თუ მანქანას აქვს სპეციალური შშმპ ნომრები და:**

მანქანაში ზის ის პირვნებაც, ვის სახელზეც არის აღებული შშმპ ნომერი.

9. **სპეციალურად გამოყოფილ შშმპ ადგილზე ჩვეულებრივი მძღოლი:**

ვერ გააჩერებს, ვერც დადგება და ვერც დააპარკინგებს.

თავი 8: დაცული მოძრაობა (defensive driving)

1. **მინიმალური სიჩქარის აღმნიშვნელი ნიშნები დგას იმისთვის, რომ:**

შეინარჩუნოს მოძრაობა შეუფერხებლად

2. **ნიუ-იორკის შტატის მაგისტრალებზე, სადაც არ დგას სიჩქარის ლიმიტის ნიშანი, კანონიერად ყველაზე სწრაფად რა სიჩქარით შეგიძლია მოძრაობა?**

55

3. **ერთ-ერთი მთავარი წესი დაცული მოძრაობის არის:**

იყავი ფხიზლად და ამოძრავე თვალები

4. **მანქანის მოძრაობისთვის საჭირო უსაფრთო სიჩქარე:**

დამოკიდებულია ამინდზე და გზის მდგომარეობაზე

5. **უსაფრთხოების ღვედები ყველაზე ეფექტური საშუალებაა დაზიანების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ის უკეთია:**

როგორც მძღოლს, ასევე მგზავრებს იმის მიუხედავად, რომელ ადგილზე სხედან.

6. **გრძელ მოგზაურობაში, ძილიანობის თავიდან ასარიდებლად:**

გააჩერე რეგულარული ინტერვალებით დასასვენებლად.

თავი 9: ალკოჰოლი და სხვა ნარკოტიკები

1. **რა გავლენა აქვს ალკოჰოლს მძღოლის უნარებზე და აზროვნებაზე?**

ის აზიანებს ორივეს

2. **ალკოჰოლის გარდა, რა ტიპის ნარკოტიკებს შეუძლია გავლენის მოხდენა მძღოლის უნარებზე?**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი (მარიხუანა, ალერგიის გამომწვევი მედიკამენტები)

3. **რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ალკოჰოლის და ნარკოტიკის ერთდროულ მოხმარებას?**

ზრდის ორივე ეფექტს

4. **სისხლში ალკოჰოლის შემცველობა (BAC) დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილზე გარდა:**

იმისა, როგორ გამოიყურები ფიზიკურად

5. **რა დაემართება შენს მართვის მოწმობას, თუ უარს იტყვი ქიმიური ტესტის ჩაბარებაზე (ჩასუნთქვა ან სისხლი)?**

მართვის მოწმობა ჩამოგერთმევა

6. **რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც მანქანას მართავ ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ?**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი (შესაძლო დაპატიმრება, სავალდებულო ჯარიმა, მართვის მოწმობის გაუქმება)

7. **რა არის ეფექტური გზა სისხლში ალკოჰოლის შემცველობის შესამცირებლად?**

მიეცი ორგანიზმს დრო, რომ ალკოჰოლი გამოვიდეს.

8. **ალკოჰოლის დალევა და მანქანის ტარება არის:**

სერიოზული საგზაო უსაფრთხოების პრობლემა

9. **მძღოლი, რომელიც იღებს ურეცეპტო წამლებს, უნდა:**

წაიკითხოს წამლის დანიშლება, სანამ დაჯდება საჭესთან.

10. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელზე ახდენს გავლენას ალკოჰოლი?**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი (ანთებული ფარისთვის თვალის გასწორება, რეაქციის დრო, მანძილის განსაზღვრა)

11. ყავის დალევა ალკოჰოლის მიღების შემდეგ:

ვერ ახდენს გავლენას სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე.

12. საშუალოდ, ადამიანის ორგანიზმს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ალკოჰოლს 12 უნცია ლუდში დაახლოებით:

1 საათში

13. რისი განსაზღვრისთვის იყენებენ ქიმიურ ტესტს?

სისხლში ალკოჰოლის შემცველობის

14. ჩამოთვლილთაგან, რომელი ახდენს გავლენას ალკოჰოლის ეფექტზე?

სამივე პასუხი სწორია (კუჭში საჭმლის ოდენობა, სხეულის წონა, რამდენი დრო გავიდა დალევიდან)

15. რამდენია საჭირო სისხლში ალკოჰოლის შემცველობა (BAC) ინტოქსიკაციის დასამტკიცებლად?

0.08%

16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ ხდება დალევის შემდეგ?

შენ მშვიდდები და უკეთ შეგიძლია კონცენტრაცია.

17 რა ეფექტი აქვს ალკოჰოლის და რეცეპტის წამლების მიღებას ერთად?

ამ კომბინაციამ შეიძლება გააორმაგოს ალკოჰოლის ეფექტი.

18 . თუ ალკოჰოლს სვამ მეგობრებთან ერთად, რომელია საუკეთესო გამოსავალი უსაფრთო მგზავრობისთვის?

საჭესთან დასვი ის მეგობარი, ვისაც არ დაულევია სასმელი.

19. რომელი დებულებაა სწორი - ხალხი, რომელიც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავს ავტომობილს:

არის ყველა მძღოლის პრობლემა იმის მიუხედავად, ისინი სვამენ თუ არა.

20. რომელი დებულებაა სწორი სისხლში ალკოჰოლის შემცველობასთან (BAC) დაკავშირებით?

ალკოჰოლურ-რესპირატორული მილი (the “Breathalyzer”) არის პიროვნების სისხლში ალკოჰოლის შემცველობის ტესტი.

თავი 10: სპეციალური სამოძრაო პირობები

1.

ეს ნიშანი გაფრთხილებს, რომ უახლოვდები:

სარკინიგზო გზაჯვარედინს

2. **რა ტიპის ტრანსპორტმა უნდა გააჩეროს ყველა სარკინიგზო გადასასვლელზე:**

სასკოლო ავტობუსებმა და სამგზავრო ავტობუსებმა, რომელშიც იმყოფებიან მგზავრები.

3. **რომელია შესაფერისი ქმედება, როდესაც უახლოვდები სარკინიგზო გზაჯვარედინს, რომელსაც არ აქვს სიგნალები?**

შეანელე სიჩქარე და მოემზადე გასაჩერებლად

4. **თუ მოძრაობა ხელს გიშლის სარკინიგზო გზაჯვარედინის გადაკვეთაში, მხოლოდ მაშინ უნდა დაძრა ავტომობილი, როცა:**

შენი ავტომობილისთვის არის საკმარისი ადგილი მეორე მხარეს გადასვლისას.

5. **თუ შენსკენ მომავალი მატარებელი იმდენად ახლოსაა, რომ გიქმნის საფრთხეს:**

არ გადაკვეთო ლიანდაგები მანამდე, სანამ ბოლომდე არ გაივლის მატარებელი.

6. **რა შემთხვევაში შეგიძლია იმოძრაო სარკინიგზო გზაჯვარედინზე შლაგბაუმის ახლოს ან ქვეშ, თუ შლაგბაუმი ზევით ადის ან ქვევით ჩამოდის?**

არცერთ შემთხვევაში

7. **რითი განსხვავდება მაგისტრალებზე მოძრაობა ჩვეულებრივ გზაზე მოძრაობისგან?**

უნდა იფიქრო უფრო სწრაფად და მართო ავტომობილი უფრო ეფექტურად.

8. **ღამით ავტომობილის ტარება საშიშია, რადგან:**

უფრო რთულია დისტანციის დანახვა

9. რომელი წინადადება შეეფერება ყველა საავარიო მდგომარეობას?

იფიქრე სანამ იმოქმედებ

10. შენ ეს წუთია დაასრულე მოძრაობა მთავარ მაგისტრალზე და იწყებ მოძრაობას ჩვეულებრივ გზაზე, შენ უნდა:

შეამოწმე სპიდომეტრი, რათა შეინარჩუნო უფრო ნაკლები სიჩქარე.

11. თუ მანქანა სრიალებს მოლიპულ გზაზე:

წინა საბურავები გაასწორე იმ მიმართულებით, საითაც მიდიხარ

12. ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებს აქვთ ნიშანი "Expressway Entrance Lane", რათა მძღოლებმა:

შეარჩიონ შესაფერისი სიჩქარე მანამ, სანამ შეუერთდებიან მოძრაობას.

13. დღის საათებში ნისლის დროს მოძრაობისას:

იარე ფარებანთებულმა დაბალ შუქზე

14. ღამით მოძრაობის დროს, ძალიან მნიშვნელოვანია:

იარო მუდმივად ფარებანთებულმა

15. თუ ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე გაცდი შენს გასასვლეს:

იმოძრავე შემდეგ გასასვლელამდე და გადადი მაგისტრალიდან

16. როდესაც მზად ხარ დატოვო ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, როდის უნდა ჩართო გვერდითა სიგნალები?

სანამ მიუახლოვდები გასასვლელს 100 ფიტით ადრე

17. თუ საბურავმა დაიშვა, უკეთესია თუ:

მყარად დაიჭერთ საჭეს და აიღებთ ფეხს გაზის პედლიდან

18. როდესაც ცდილობ მოლიპულ გზაზე გაჩერებას, კარგი გამოსავალია:

ამოძრავე მუხრუჭები ნელა

19. როდესაც მარჯვენა საბურავები გვერდით იწევს, რა უნდა გააკეთო რომ დაბრუნდე გზატკეცილზე?

სწრაფად აიღე გაზიდან ფეხი და ნაზად დაამუხრუჭე

20. თუ მოულოდნელად მოხრუჭის პედალი გაიჭედა, რა უნდა გააკეთო პირველ რიგში?

ეცადე ამოქაჩო პედალი, რათა მოუმატო ზემოქმედებას

21. ღამით მოძრაობის დროს, საპირისპიროდ მომავალი მანქანის ფარებიდან სიკაშკაშის შესამცირებლად:

იყურე შენი გზის ქვევითა მარχვენა მხარეს.

22. როდესაც უახლოვდები გზატკეცილს, რომელსაც აქვს ვიწრო შესასვლელი. რომელია შენთვის უსაფრთო მოქმედება, რომ შეუერთდე გზატკეცილზე მოძრაობას?

დაელოდე შუალედს მოძრაობის დროს და სწრაფად მოუმატე სიჩქარეს

თავი 11: გზის განაწილება

1. ბრმა ადამიანს კანონით აქვს უფლება ქუჩაზე გადავიდეს, თუ:

ის გადაყავს გზის მაჩვენებელ ძაღლს, ან ხელში უჭირავს თეთრი ან ლითონის ხელჯოხი.

2. ველოსიპედისტი განსხვავდება ავტომობილის მძღოლისგან იმით, რომ მისთვის სავალდებულო არაა:

ველოსიპედის დაზღვევა

3. გზაზე, რომელსაც არ აქვს ტროტუარი, ფეხით მოსიარულეებმა უნდა იარონ:

ქუჩის იმ მხარეს, რომელიც უყურებს საპირისპიროდ მომავალ მოძრაობას.

4. ავტომობილის მძღოლმა უნდა იცოდეს, რომ ველოსიპედისტი უნდა მოძრაობდეს:

გზის მარჯვენა მხარეს

5. რა ფორმისაა სიჩქარის შენელების ნიშანი?

სამკუთხედის ფორმის ნარინჯისფერი

6. მძღოლებმა უნდა იცოდნენ, რომ მოტოციკლისტს სიბნელეში უნდა ჰქონდეს:

წინა ფარი და უკანა წითელი ფარი

7. როდესაც ავტომობილის მძღოლი უახლოვდება ველოსიპედისტს:

უნდა დაიცვას უდიდესი ყურადღება

8. როდესაც გინდა მანქანის უკან გაწევა და ხედავ, რომ ბავშვები თამაშობენ შორიახლოს. სანამ დაძრავ მანქანას, შენ უნდა:

გადახვიდე მანქანიდან, დაათვალიერო უკანა პერიმეტრი რათა დარწმუნდე, რომ გზა თავისუფალია.